რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის ნომერი: **BP/OUT/6747/23**

18 იანვარი, 2023 წ.

ქ-ნ თამარ ფიცხელაურს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

***საგანი:** დმსმ მილსადენის მდ. ყვირილას გადაკვეთიდან (KP264+733) 1,1 კმ-ის დაშორებით, დაგეგმილი ნაპირგამაგრების სამუშაოების შესახებ*

ქ-ნო თამარ,

კომპანია BP საქართველოს (ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი, იალბუზის ქ. N14) მიერ, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (დმსმ) უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია *მდ. ყვირილას ნაპირსამაგრი ღონისძიებების პროექტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დმსმ-ს მდ. ყვირილას გადაკვეთიდან (კმ ნიშნული 264+733) 1,1 კმ მანძილზე დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.*

კომპანია BP საქართველოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N BP/OUT/6665/22 განაცხადზე დამატებით და თქვენი 2022 წლის 16 ნოემბრის N21/6947 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ დამატებით და კორექტირებულ დოკუმენტებს:

- შენიშვნების შესაბამისად კორექტირებულ საინფორმაციო დოკუმენტს - სკრინინგის ანგარიშს (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე).
- GIS შეიპფაილებს - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატების მითითებით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის N2-03/18541 წერილს - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი"-ს (ს/ნ 202 167 500) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ს.ს. „გარემოს ეროვნული სააგენტო"
„23" 01 2023
№ 400

- 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა, ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N211130226).

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო ექპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რ. მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი - 23 ფურცელი.
- GIS შეიპფაილები - 1 CD.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 18 ნოემბრის N2-03/18541 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- კომპანიის ამონაწერს იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი.
- 2021 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა - 9 ფურცელი.